

შპს ბიზნეს ცენტრი საბურთალო

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023
წლის 31 დეკემბერს

შპს ბიზნეს ცენტრი საბურთალო
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

<i>ქართულ ერთეულ ლარში</i>	<i>შენიშვნა</i>	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	5,784,869	4,791,793
არამატერიალური აქტივები		1,050	2,018
გაცემული სესხები	4	1,328,221	1,050,930
სულ გრძელვადიანი აქტივები		7,114,140	5,844,741
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		9,029	117,649
გაცემული სესხები	4	10,885,585	8,511,042
სავაჭრო მოთხოვნები	5	1,435,023	1,308,612
საგადასახადო აქტივი		55,595	1,263
ფული და ფულის ექვივალენტები		282,934	1,930,180
სულ მიმდინარე აქტივები		12,668,166	11,868,746
სულ აქტივები		19,782,306	17,713,487
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		5,308,928	5,308,928
გაუნაწილებელი მოგება		14,216,184	12,204,251
სულ კაპიტალი		19,525,112	17,513,179
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		257,194	157,313
საგადასახადო ვალდებულება		-	42,995
სულ ვალდებულებები		257,194	200,308
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		19,782,306	17,713,487

შპს ბიზნეს ცენტრი საბურთალო
მოგება - ზარალის ანგარიშგება

ქართულ ერთეულ ლარში	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი			
საოპერაციო შემოსავალი		2,529,058	2,622,215
პირდაპირი საოპერაციო ხარჯები	6	(487,678)	(410,621)
საერთო მოგება		2,041,381	2,211,594
ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები		(357,213)	(257,328)
რეალიზაციის და დისტრიბუციის ხარჯი		(4,431)	-
სხვა ხარჯები და შემოსავალი, წმინდა	7	(819,027)	(959,030)
სულ საოპერაციო შემოსავალი		860,710	995,236
ფინანსური შემოსავალი		1,232,221	1,036,633
ფინანსური ხარჯები		(1,307)	(311,331)
მოგება		2,091,624	1,720,538

შპს ბიზნეს ცენტრი საბურთალო
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

ქართულ ერთეულ ლარში	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
1 იანვარი, 2022 წელი	5,308,928	10,563,681	15,872,609
წლის სრული მოგება	-	1,720,538	1,720,538
გამოცხადებული დივიდენდი	-	(79,968)	(79,968)
31 დეკემბერი, 2022 წელი	5,308,928	12,204,251	17,513,179
წლის სრული მოგება	-	2,091,624	2,091,624
გამოცხადებული დივიდენდი	-	(79,691)	(79,691)
31 დეკემბერი, 2023 წელი	5,308,928	14,216,184	19,525,112

შპს ბიზნეს ცენტრი საბურთალო
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

<i>ქართულ ერთეულ ლარში</i>	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		3,256,085	3,343,391
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(1,372,207)	(1,344,733)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(370,377)	(292,782)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		1,513,501	1,705,876
გადახდილი გადასახადები		(695,203)	(577,144)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) ფულადი სახსრები, წმინდა		818,298	1,128,732
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
სესხების გაცემა		(2,094,689)	(1,185,060)
მიღებული პროცენტი		246,942	244,390
გაცემული სესხებიდან ფულადი სახსრები		400,000	982,347
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(950,094)	-
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(2,397,841)	41,678
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდი		(67,737)	(67,973)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან, წმინდა		(67,737)	(67,973)
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებში, წმინდა		33	(59,802)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		1,930,180	887,546
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		282,934	1,930,180

1. ზოგადი ინფორმაცია

„ბიზნეს ცენტრი საბურთალო“ (შემდგომში „კომპანია“) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა. იგი რეგისტრირებულია საქართველოში.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა კომერციული/საოფისე ფართების გაქირავება. 2019 წელს კომპანიას შეერწყა შვილობილი საწარმო: შპს „Tbilisi foods and beverages company“ (ს/კ 404424324), რომლის ძირითადი საქმიანობა იყო სარესტორნო მომსახურება.

კომპანიის იურიდიული მისამართი : საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, გამსახურდიას გამზირი, № 34 / ალ ყაზბეგის გამზირი, №2.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ლარი).

სამუშაო და საანგარიშგებო ვალუტა. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც საწარმო ოპერირებს. საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური ანგარიშგება.

უცხოური ვალუტა. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა, გარდა უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საკურსო სხვაობებისა, რომლებიც ეხება კონსტრუქციის ქვეშ მყოფ, მომავალში პროდუქტიული გამოყენებისთვის არსებულ აქტივებს, რომლებიც მოცულია იმ აქტივების ღირებულებებში, როდესაც ისინი განიხილება, როგორც უცხოურ ვალუტაში არსებული სესხების საპროცენტო ხარჯების კორექტირება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ლარი/ 1 აშშ დოლარი	2.6894	2.7020
ლარი/ 1 ევრო	2.9753	2.8844

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება (გაგრძელება)

შემოსავლის აღიარება. ამონაგები აღიარდება წრფივი მეთოდით. მისი შეფასება ხდება წმინდა ღირებულებით, დღგ-ისა და ფასდაკლებების გარეშე.

ცვეთა. მიწაზე ცვეთის დარიცხვა არ ხდება. ცვეთის კალკულაცია ხდება წრფივი მეთოდით, რათა ღირებულება განაწილდეს მათ სასარგებლო სასიცოცხლო ვადაზე ნარჩენ ღირებულებამდე:

სასარგებლო გამოყენების ვადა	
შენობები	10-დან 50 წლამდე
მანქანა-დანადგარები	5-დან 30 წლამდე
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5-დან 20 წლამდე
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-დან 10 წლამდე

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის განსაზღვრული რაოდენობა, რასაც კომპანია მიიღებს აქტივის რეალიზაციიდან გამოკლებული გაყიდვისთვის საჭირო ხარჯები, იმ შემთხვევაში თუკი აქტივი იქნება მისი სასარგებლო სასიცოცხლო ვადის ამოწურვის პერიოდში. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო სასიცოცხლო ვადა საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და კორექტირდება.

გაცემული სესხები. გაცემული სესხები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ამოღებული საპროგნოზო თანხების შესაბამისი რეზერვი მოგებაში ან ზარალში აღიარდება მაშინ, როდესაც არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ აქტივი გაუფასურებულია.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავსნაღდ ფულს, ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფული და ფულის ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები სავაჭრო მოთხოვნები წამოიქმნება მომხმარებლისათვის პროდუქციის მიწოდებისა ან მომსახურების გაწევისას. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღიარებულ ვალდებულებებს და მათ პროცენტი არ ერიცხება.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები. ფინანსური შემოსავალი და ხარჯები შედგება აღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისგან, აღებულ სესხებზე მიღებული საპროცენტო შემოსავლისგან, საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლებისგან და სავალუტო მოგებისგან და ზარალისგან, რომელიც ეხება სესხებს ან ფულსა და ფულის ექვივალენტებს.

3. ძირითადი საშუალებები

შემდეგი ცხრილი აჩვენებს ძირითადი საშუალებების მოძრაობას 2023 და 2022 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში:

<i>ქართულ ერთეულ ლარში</i>	მიწა, შენობები, დაუმთავრებელი მშენებლობა	მანქანა- დანადგარები	ავტოსატრანს- პორტო საშუალებები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სულ
დირეზულა 1 იანვარი 2022	6,297,061	92,270	118,446	230,832	6,738,609
დამატება	-	-	-	20,589	20,589
რეალიზაცია	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	6,297,061	92,270	118,446	251,420	6,759,198
დამატება	1,022,597	42,730	64,928	23,569	1,153,823
რეალიზაცია	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	7,319,658	135,000	183,374	274,989	7,913,021
დაგროვილი ცვეთა 1 იანვარი 2022	1,563,168	88,909	35,043	120,678	1,807,799
ცვეთის ხარჯი	131,029	2,591	6,580	19,406	159,606
დაგროვილი ცვეთა რეალიზებულ აქტივებზე	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	1,694,197	91,500	41,624	140,084	1,967,404
ცვეთის ხარჯი	131,219	815	8,384	20,329	160,747
დაგროვილი ცვეთა რეალიზებულ აქტივებზე	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	1,825,416	92,315	50,007	160,413	2,128,152
საბალანსო დირეზულა					
31 დეკემბერი 2022	4,602,864	770	76,823	111,336	4,791,793
31 დეკემბერი 2023	5,494,242	42,685	133,367	114,576	5,784,869

შპს ბიზნეს ცენტრი საბურთალო

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2023 წლის 31 დეკემბერი

4. გაცემული სესხები

ქართულ ერთეულ ლარში	საპროცენტო განაკვეთი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
გრძელვადიანი			
მეკავშირე მხარეები	0.00% - 18.00%	1,328,221	1,050,930
არა-მეკავშირე მხარეები	0.00% - 11.40%	-	-
მიმდინარე			
მეკავშირე მხარეები	0.00% - 18.00%	10,188,510	7,899,908
არა-მეკავშირე მხარეები	0.00% - 11.40%	697,075	611,134
სულ გაცემული სესხები		12,213,806	9,561,972

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრისათვის გაცემულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი შეადგენს 1,195,172 ლარსა და 1,037,382 ათას ლარს, შესაბამისად.

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ქართულ ერთეულ ლარში	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მიმდინარე		
სავაჭრო მოთხოვნები	455,813	399,590
სხვა ფინანსური მოთხოვნები	1,037,654	1,088,435
მინ. გაუფასურების ზარალი	(272,451)	(269,411)
სულ ფინანსური სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,221,016	1,218,614
წინასწარ გადახდილი თანხები	214,007	89,998
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,435,023	1,308,612

6. პირდაპირი საოპერაციო ხარჯები

ქართულ ერთეულ ლარში	2023	2022
პერსონალის ხარჯები	(283,330)	(206,171)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(131,794)	(133,371)
სხვა ხარჯები	(26,599)	(26,439)
რემონტის ხარჯები	(17,958)	(18,274)
გამოყენებული მასალები და ნედლეული	(9,709)	(8,367)
დაზღვევის ხარჯი	(8,000)	(8,000)
საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯი	(7,570)	(9,998)
სატრანსპორტო ხარჯი	(2,335)	-
იჯარა	(383)	-
სულ პირდაპირი საოპერაციო ხარჯები	(487,678)	(410,621)

7. სხვა ხარჯები და შემოსავალი, წმინდა


ქართულ ერთეულ ლარში	2023	2022
ქველმოქმედების ხარჯები	(867,163)	(1,009,156)
გადასახადების ხარჯი მოგების გადასახადის გარდა	(38,838)	(32,493)
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	(3,388)	(45,533)
სხვა ხარჯები და შემოსავალი, წმინდა	90,362	128,152
სულ სხვა ხარჯები და შემოსავალი, წმინდა	(819,027)	(959,030)

8. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

30 სექტემბერი, 2024

დირექტორი



მთავარი ბუღალტერი

